ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. თებერვლის 22. № 2 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

15. „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ს დადგენილების 23 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლისა, იმავე მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატებისა და „საცხოვრებელი სადგომების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

16. სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლის შესახებ.

17. სასამართლო ბრძანების წესით განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ.

18. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-8 მუხლის—შენიშვნითურთ შეცვლისა და მე-11 მუხლის დამატების შესახებ.

19. პერსონალური პენსიების დებულების მე-12 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

20. საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხთა უდავო გადახდევინების წესის დამყარების შესახებ.

21. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხ. მე-2 პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

22. ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის შესახებ.

23. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისათვის 12[1] მუხლის დამატების შესახებ.

24. საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის შენობების შესაკეთებლად მიცემულ სესხთა გამო აღძრული პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებული წესის შესახებ.

25. საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 29 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

26. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 200[1] მუხლის დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

27. „უსინათლოთა საზოგადოების“ სამდღიურის ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

28. დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების შესახებ.

29. 1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

30. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქვედა ქსელის ორგანიზაციებთან სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდების დაარსებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

15. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ს დადგენილების 23 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლისა, იმავე მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატებისა და „საცხოვრებელი სადგომების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ს დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-რი, მუხ. 202) 23 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** იმ დამატებითი ოთახის ან დამატებითი სივრცისათვის 15 კვად. მეტრის ფარგლებში, რაც ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთ ეძლევათ, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ერთმაგი რაოდენობით.

დამატებითი ოთახის ან დამატებითი სივრცის მიცემის საფუძვლებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ზემოაღნიშნული დადგენილების 23 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 3.** მხატვრისა და მოქანდაკის მიერ სპეციალურად სამუშაო სახელოსნოსათვის დაჭერილი საცხოვრებელი სივრცის ქირა გადახდილი უნდა იქნეს ერთმაგი რაოდენობით“.

3. „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-რი, მუხ. 20) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-5 №-ში 1930 წ. იანვრის 7-ს.

---

16. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ხულიგნობა, ე. ი. თავაწყვეტილი მოქმედება, რომელსაც თანა სდევს საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემლობა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სასამართლო ბრძანების წესით განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. პირველი კარის მე-2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 57 №-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-რი, მუხ. 106) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად, სასამართლო ბრძანების წესით, განიხილავს საქმეებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 64,65 მუხლ., 68 მუხლის მე-3 ნაწილით, 73 მუხლით, 75 მუხლის 1-ლი ნაწილით, 90, 93, 102, 103[1], 112, 113, 198 მუხლ., 200 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით, 202 მუხლის 1-ლი ნაწილით, 203—207 მუხლ., 208 მუხლის 1-ლი ნაწილით და 209—211 მუხლებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

---

18. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-8 მუხლის—შენიშვნითურთ შეცვლისა და მე-11 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების (საქ. კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 71) მე-8 მუხლი შენიშვნითურთ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8. მოქალაქეთა საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლიან გაანთავისუფლოს თვითდაბეგვრაში მონაწილეობისაგან: 1) ა) სასოფლო-სამეურნეო გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახადისაგან მცირეძალოვნების გამო განთავისუფლებული მეურნეობა; ბ) ომისა და შრომის ინვალიდის მეურნეობა; გ) სამხედრო მსახურის მეურნეობა; დ) მუშისა და მოსამსახურის მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება, და 2) ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

შენიშვნა 1. აღნიშნული კატეგორიის მეურნეობებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ თვითდაბეგვრაში ერთიდან ვიდრე სამი პაის რაოდენობით.

შენიშვნა 2. ის პირი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფება და დამოუკიდებელ საგლეხო მეურნეობას არ ეწევა, თვითდაბეგვრის წესით არ დაიბეგრება, უკეთუ იმ ღონისძიებას, რომლისთვისაც დაწესებულია თვითდაბეგვრა, მისთვის პირდაპირი სარგებლობა არ მოაქვს.

2. იმავე დებულების მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა.** გადიდება ცალკეულ მეურნეობათათვის თვითდაბეგვრის რაოდენობისა, რაც გამოანგარიშებულია ამა მუხლით დადგენილი წესისამებრ, აკრძალულია“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-16 №-ში 1930 წ. იანვრის 19.

---

19. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

პერსონალური პენსიების დებულების მე-12 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 21-ს დადგენილების თანახმად, (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი მუხ. 203), რომელი დადგენილებითაც შეცვლილია მე-3 და მე-9 მუხლები 1928 წ. სექტემბრის 3-ს დადგენილებისა პერსონალური პენსიების შესახებ,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „პერსონალური პენსიის დებულების“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 26) მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. უკეთუ პერსონალური პენსია დაენიშნა იმ პირს, რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის წესით პენსიის მიღების უფლება, სოციალური დაზღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ორგანოები შეიტანენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით 50 პროცენტს იმ თანხისას, რაც აღნიშნულ პირს პერსონალურ პენსიად დაენიშნა".

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მისი გამოქვეყნების თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვიდან.

პერსონალური პენსიის დებულების მე-12 მუხ. ახალი რედაქციით (ამა დადგენილების 1-ლი მუხლი) დადგენილი წესი ანგარიშის გასწორებისა არა ვრცელდება იმ თანხებზე, რაც სოციალური დაზღვევის ორგანოებმა, ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, გადაუხადეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის 31 №-ში 1930 წ. თებერვლის 7.

---

20. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხთა უდავო გადახდევინების წესის დამყარების შესახებ.

„კოოპერატიულ კრედიტის დებულების დამტკიცების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 18-ს დადგენილების მე-10 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 43)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანიზაციები ახდევინებენ თავიანთ მოვალეებს და მათ თავდებთ ვალს—პროცენტებითა და საურავით უდავო წესით, თავიანთივე დადგენილებებით, რაც აღსრულებულ უნდა იქნეს, სათანადო სოფლის საბჭოს მეშვეობით, გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-15 და 17 მუხლების დაცვით (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-ი, მუხ. 518) შემდეგ შემთხვევაში:

ა) ვადაგადაცილებულ სესხისათვის, ვალდებულების ხასიათისა, დანიშნულებისა და ფორმის დამოუკიდებლად;

ბ) ისეთი სესხისათვის, რაც დაფარულ უნდა იქნეს რამდენსამე ვადაზე, როდესაც გადაცილებულია მორიგი გადასახდელის ვადა,—ვადაგადაცილებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხის რაოდენობით, ხოლო, უკეთუ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ვადის გადაცილებას უნდა მოჰყვეს მთელი გაცემული სესხის გადახდევინება,—მთელი სესხის რაოდენობით.

2. უკეთუ მსესხებელი სადავოდ სთვლის 1 მუხლის წესით მიქცეული გადახდევინების კანონიერებას, მას უფლება აქვს თავისი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს საერთო სასარჩელო წესით; ამასთანავე, უდავო წესით გადახდევინება შეიძლება შეჩერებულ იქნეს მსესხებლის თხოვნით მხოლოდ იმ სასამართლოს დადგენილებით, სადაც აღძრულია ასეთი სარჩელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

---

21. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხ. მე-2 პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1 №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მუხ. მე-2 პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები, სპეციალური ინსპექციები მათი გამგებლობის საქმეებისათვის, სანაოსნო ზედამხედველობის ორგანოები შინა-წყალსავალ გზებზე მათი გამგებლობის საქმეებისათვის და ხელისუფლების სხვა ისეთი ორგანოები, რომელთაც სპეციალური კანონით მინიჭებული აქვთ მოკვლევის უფლება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთ მიეცეს გასამჯელოს სახით 50%-ი იმ თანხებისა, რაც შემოვა საქონლის დაკვლის მომწესრიგებელ დადგენილებათა დარღვევისათვის გადახდევინებული ჯარიმებით.

2. უკეთუ სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის ორგანოები სცნობენ, რომ ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტები საჭმელად გამოყენებისათვის ვარგისია, ეს პროდუქტები უნდა გადაეცეს ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ დაწესებულ მტკიცე ფასად.

3. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფს) გამოსცეს, ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

II.

„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების“ მე-40[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 207) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 31 №-ში 1929 წ. თებერვლის 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისათვის 12¹ მუხლის დამატების შესახებ.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ს თარიღის და მე-2 №-ის დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებას („მოამბე" 1925 წ. 1-ლი №-რი) დაემატოს მე-12¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 12¹. გამოიტანოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, აგრეთვე კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის სავალდებულო დადგენილებები შემდეგ საკითხებზე:

ა) სამუდამოდ ან დროებით სამსახურის აკრძალვის შესახებ საბჭოთა და კოოპერატიული აპარატის ყველა საფეხურზე და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ პირებისათვის, რომელთა მუშაობის შეფასების დროს გამოირკვა, რომ ეს მუშაობა მავნებელია მუშათა კლასის ინტერესებისათვის, რის გამოც მათი სამსახურში დატოვება ყოვლად შეუძლებელია;

ბ) სამუდამოდ ან დროებით სამსახურის აკრძალვა განსაზღვრულ ადგილას ან განსაზღვრულ უწყებასა, დაწესებულებასა, საწარმოსა თუ ორგანიზაციაში;

გ) სამუდამოდ ან დროებით ამა თუ იმ კატეგორიის თანამდებობაზე სამსახურის აკრძალვა საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში, და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის 31 №-ში 1930 წ. თებერვლის 7.

---

24. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის შენობების შესაკეთებლად მიცემულ სესხთა გამო აღძრული პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებული წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. უკეთუ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა არ შეიტანს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაზე სათანადო თანხას იმ სესხის დასაფარავად, რაც მან შენობების შესაკეთებლად საქართველოს კომუნალურ ბანკიდან მიიღო, ბანკს უფლება აქვს გაინაღდოს თავისი ხვედრი მორიგი შესატანი ქვემომდევნო მუხლებში გათვალისწინებული წესით.

2. უკეთუ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა დროზე არ დაფარავს შენობების შესაკეთებლად მიღებულ სესხს, საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს უფლება აქვს თანახმად ბანკის გამგეობის სპეციალური დადგენილებისა მიაქციოს მორიგი შესატანის გადახდევინება ამხანაგობის მიერ მისაღებ საბინაო ქირას.

3. იმ დღიდან, რაც საბინაო-საიჯარო ამხანაგობის გამგეობას კომუნალური ბანკი აცნობებს თავის დადგენილებას, ამხანაგობის გამგეობას უფლება არა აქვს მიიღოს ბინის ქირა და დახარჯოს ბინის ქირის ანგარიშში მიღებული თანხები.

4. წინა მუხლში აღნიშნულ ვადიდან იმ პირმა, ვინც საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის სახელით ბინის ქირას აგროვებს, იგი კომუნალურ ბანკში უნდა შეიტანოს.

5. თვითეული შენობიდან მიღებული საბინაო ქირით კომუნალურმა ბანკმა უნდა დაჰფაროს საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წინააღმდეგ აღძრული პრეტენზიები იმ თანამიმდევრობით, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266[1] მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებში (კან. კრ. 1929 წლ. № 18, მუხ. 196), ხოლო დანარჩენ თანხას იგი მიაქცევს გაცემული სესხის დასაფარავად.

6. უკეთუ შენობას ესაჭიროება გადაუდებელი რამ რემონტი, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობა აცნობებს ამას კომუნალურ ბანკს და თუ უკანასკნელი სცნობს, რომ ამხანაგობის განცხადება დასაკმაყოფილებელია, მისცემს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას ზემოაღნიშნული წესით მიღებული თანხიდან რემონტისათვის საჭირო ნაწილს.

7. ამ დადგენილების მე-2 და მე-6 მუხლებში აღნიშნული დადგენილებანი კომუნალური ბანკისა, აგრეთვე დადგენილებანი მიღებული თანხების მე-5 მუხლის წესისამებრ განაწილების საკითხების გამო შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირების მიერ სათანადო სახალხო მოსამართლის წინაშე ორი კვირის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოტანისა.

8. წინა მუხლში აღნიშნულ საჩივრებს სახალხო მოსამართლე განიხილავს ერთპიროვანად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის 31 №-ში 1930 წ. თებერვლის 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 29 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წლის მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

საქართველოს სსრ ტყის კოდექსის 29 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„29. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან მერქანის გაცემა და აგრეთვე გაცემული ტყისთვის ორგანიზაციებთან და პირებთან ანგარიშის გასწორების წესი და პირობები განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით, რასაც ამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი—ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით“.

II

წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ორი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოცემისა, შეიმუშაონ და დაამტკიცონ წინა მუხლში აღნიშნული წესები.

ამ წესებში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება წინასწარ შეთანხმებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და რომ გაცემული ტყისთვის ანგარიშის გასწორება ამ უკანასკნელმა იცოდეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 31 №-ში 1930 წ. თებერვლის 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 200¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 200¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„200¹ ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლა ისეთ ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც კომუნალური სასაკლაოა, დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით

ჯარიმით არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის ღირებულების ხუთკეცი რაოდენობისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის 32 №-ში 1930 წ. თებერვლის 8.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

27. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ.

„უსინათლოთა საზოგადოების" სამდღიურის ჩატარების შესახებ.

უსინათლოთა საზოგადოების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „უსინათლოთა საზოგადოებას" მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური 1930 წლის იანვრის 17—19 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის (იანვრის 17—19) განმავლობაში „უსინათლოთა საზოგადოებას" ნება დაერთოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობით გამოსაღები ყველგან— ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეეძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიოგადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით „უსინათლოთა საზოგადოების“ სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელზე ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს „უსინათლოთა საზოგადოება“ ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-6 №-ში 1930 წ. იანვრის 8.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

28. დადგენილება ს. კ. ს.

დამატებითი საცხოვრებელი სივრცის უფლების შესახებ.

„საქართველოს სსრ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ს დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-რი, მუხ. 202) 23 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნორმის გარეშე ერთი კაბინეთის (15 კვ. მეტრის), ხოლო თუ კაბინეთი არ მოიპოება, დამატებითი სივრცის მიღების უფლება აქვთ მოქალაქეთა შემდეგ კატეგორიებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ისეთი სნეულებით დაავადებულებს, რაც გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ, შინაგან საქმეთა საქალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემულ სნეულებათა ცალკეულ ნუსხაში;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე პროფესიონალურ, პარტიულ და კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა იმ მომუშავეებს არანორმირებული სამუშაო დღით, რომელთა თანამდებობები და პროფესიები გათვალისწინებულია სპეციალური სიით, რასაც შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

გ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის უმაღლესი საკომანდო, პოლიტიკური, ადმინისტრატიული, სამედიცინო და საბეითლო შედგენილობის სამხედრო მსახურთ და აგრეთვე ცალკეული სამწყობრო ნაწილების იმ კომანდირებს და კომისრებს, ვისაც მინიჭებული აქვთ ლეგიონის კომანდირის უფლებანი;

დ) შრომის გმირებს;

ე) რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულ არტისტებს, ვისაც ეს წოდება სათანადო წესით მიეცა;

ვ) ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრებს;

ზ) განათლების დარგში მომუშავეთა კავშირთან არსებულ სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სექციაში რეგისტრირებულ სამეცნიერო მომუშავეებს;

თ) მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეებს ხელოვნების დარგში და აგრეთვე ხელოვნების იმ მომუშავეთ, რომელნიც შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს სახლში ასრულებენ (სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლების მასწავლებელთ);

ი) კერძოდ მომუშავე მედიცინისა და კბილის იმ ექიმებს, რომელნიც ავადმყოფებს სახლში იღებენ.

შენიშვნა. იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციების ნუსხას, რომელთა მომუშავეებზედაც ვრცელდება ამა მუხლის „ბ“ პუნქტის წესი, გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. იმ თანამდებობათა ნუსხას, რომლებიც იძლევიან ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის მიღების უფლებას, გამოსცემენ:

ა) იმ ცენტრალურ დაწესებულებათა და საწარმოთა და მათი ადგილობრივი ორგანოთა მომუშავეებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ ექვემდებარებიან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, და აგრეთვე საერთო-საკავშირო, საერთო-ფედერატიული და საერთო-რესპუბლიკანური პროფესიონალური, პარტიული, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, სათანადო დაწესებულებასა ან სათანადო ორგანიზაციასთან შეთანხმებით;

ბ) იმ დაწესებულებათათვის, რომლებიც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ექვემდებარებიან, და აგრეთვე ადგილობრივი საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებისათვის—სათანადო საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები.

3. ამა დადგენილების 1 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“, „თ“ და „ი“ პუნქტებში აღნიშნულ პირებს დამატებითი სივრცის უფლება, ამა დადგენილებისა და მის განსავითარებლად გამოცემული ნუსხების მიხედვით, მიენიჭებათ სპეციალური მოწმობებით. ამ მოწმობებს მისცემენ:

ა) 1 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ პირებს—სამკურნალო-საკონტროლო კომისიები ან დისპანსერები;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მომუშავეებს, აგრეთვე სამხედრო მსახურთ (1 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნ.)—სამსახურის ადგილას, სათანადო დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

გ) სამეცნიერო დარგის მომუშავეებს (1 მუხ. „ზ“ პუნ.) და 1 მუხ. „თ“ პუნქტში აღნიშნულ მომუშავეებს—განათლების დარგში მომუშავეთა კავშირთან არსებული სამეცნიერო დარგის მომუშავეთა სექცია, ხელოვნების მომუშავეთა კავშირი და სახალხო მუსიკალური სასწავლებლების ხელმძღვანელნი;

დ) კერძოდ მომუშავე მედიცინისა და კბილის ექიმებს (1 მუხ. „ი“ პუნ.)—ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანო.

შენიშვნა. სახლის სამოურაოს უფლება აქვს მოსთხოვოს მდგმურს მოწმობა, როგორც ნუსხების გამოცემამდე, ის მის შემდეგაც.

4. ცალკე სამწყობრო ნაწილების იმ კომანდირებს და კომისრებს, ვისაც მინიჭებული აქვს ლეგიონის კომანდირის უფლებანი, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების და ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრებს, და აგრეთვე შრომის გმირებს და რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულ არტისტებს დამატებითი სივრცის მიღების უფლების დამადასტურებელი სპეციალური მოწმობები არ მიეცემათ; ასეთი მოწმობების მაგიერობას შეასრულებს, კუთვნილებისამებრ: მოწმობა ამა თუ იმ თანამდებობაზე ყოფნის შესახებ, სათანადო საზოგადოების წევრობის მოწმობა ან მოწმობა სათანადო წოდების შესახებ.

5. დამატებითი სივრცის მიღების უფლების თაობაზე უკანონო მოწმობის გამცემი და აგრეთვე ასეთი მოწმობის მიმღები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის ან დისციპლინარული წესით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-5 №-ში 1930 წ. იანვრის 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

1930 წლის გაზაფხულზე წყლის ადიდების გამო მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებასთან საბძოლველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. 1930 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად მოეწყოს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარედ—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და წევრებად: საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი და ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი.

II. დაევალოს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ, დაუყოვნებლივ მოაწყონ ადგილობრივ, იმავე მიზნით, სპეციალური კომისიები, რომელნიც იმოქმედებენ ამა დადგენილების 1 კარში აღნიშნული საგანგებო კომისიის დირექტივების თანახმად; კომისიებში შევლენ: თავმჯდომარედ—საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრებად: ადგილობრივი წყლის ოლქის გამგე და ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი წარმომადგენელნი. ასეთივე კომისიები (სამეულები) უნდა მოაწყონ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

III. მიენიჭოს პირველ ორ კარში აღნიშნულ კომისიებს ყველა ფუნქცია წყალდიდობასა და მის შედეგებთან ბრძოლის კამპანიის ჩატარებისათვის, საფინანსო ნაწილის გამოკლებით, რაც წყლის ოლქებში უნდა მოეწყოს.

IV. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოახდინოს სასწრაფო განკარგულება ადგილობრივი ორგანოების მიმართ, რათა მათ უსასყიდლოდ გასცენ წნელი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭირო იქნება წყალდიდობასთან ბრძოლისათვის შესაფერ ნაგებობათა მოსაწყობად, ადგილობრივ კომისიებთან შეთანხმებული რაოდენობით.

V. შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად შემოღებულ იქნეს 1930 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე შრომის ბეგარა რაიონისა ან ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის—წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, შემდეგ საფუძველზე:

1) შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, შემდეგ (2) მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსახლეობა, ანაკით 18-დან 45 წლამდე, რომელიც რაიონში ან სათანადო სოფელში მუდმივ სცხოვრობს.

2) სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელი არმიისა ან ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად.

დამატებითს გამონაკლისებს და შეღავათებს,—ჯანმრთელობისა, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა, ყოფაცხოვრებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით,—დააწესებს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი.

3) პირადი შრომის გარდა, ყველა იმ რაიონისა თუ სათანადო სოფლის მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, მოვალეა გადასცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სოფლის საბჭოს, მის მიერ შრომის ბეგარის შესრულების განმავლობაში (მუხ. 4), თავისი საკუთარი მუშა-საქონელი და საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტი და ინვენტარი, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

4) სოფლის მცხოვრებნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობით, რასაც დააწესებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვარაუდით, რომ თვითეული პირის სამუშაო დღის რიცხვი გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდის განმავლობაში 3 დღეს არ აღემატებოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

5) მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება შრომის ბეგარისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად მოხდება საოლქო, სამაზრო ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით.

6) მას, ვინც თავს აარიდებს შრომის ბეგარის შესრულებას, დაედება ადმინისტრატიული წესით, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან სასოფლო საბჭოს დადგენილებისამებრ, პირველად ფულადი ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ხოლო უკეთუ იგი ამას განიმეორებს ან შრომის ბეგარის ასრულებას დაჟინებით თავს აარიდებს,—პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხ. (1928 წ. რედაქცია) თანახმად.

VI. ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნულ საგანგებო კომისიას დაეკისრება—ერთი კვირის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

VII. 1 კარში აღნიშნულ საგანგებო კომისიას უფლება ეძლევა გაავრცელოს ეს დადგენილება ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე, უკეთუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

VIII. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცენ სასწრაფოდ ანალოგიური დადგენილებანი და მიიღონ ღონისძიებანი—წყალდიოობასა და მის შედეგებთან ბრძოლისათვის სათანადო კომისიების მოსაწყობად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის მე-8 №-ში 1930 წ. იანვრის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქვედა ქსელის ორგანიზაციებთან სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდების დაარსებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

„სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების წესებისა და სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილებისა და მოძრაობის დასაჩქარებლად ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 20-ს თარიღისა და 107 №-რის დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქვედა ქსელის ორგანიზაციებთან სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდის დაარსებისა და ხარჯვის შესახებ:

1. სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდი დანიშნულია სოფლის ცალკეული ღარიბი მეურნეობებისა და მათი მარტივი საწარმოო შენაერთების (ღარიბთაგან მოწყობილი სამანქანო და სატრაქტორო ამხანაგობა, დასახლების ამხანაგობა, მთესველი ამხანაგობა, საშინამრეწველო-სასარეწაო არტელი და მარტივი სამელიორაციო ამხანაგობა), იმ კოლექტიურ მეურნეობათა გამოკლებით (კომუნა, სას.-სამ. არტელი, საზოგადოებრივი ძალით მიწის დამუშავების ამხან.), რომელთა დაკრედიტებაც სწარმოებს საამისო სპეციალური კრედიტებიდან.

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებული სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდი შესდგება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებისაგან ისეთი რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენამდე; ეს ასიგნები შედის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებულ ფონდში შემდეგ საკალენდარო ვადებზე და შემდეგი რაოდენობით: არა ნაკლებ ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული წლიური ასიგნების 70%-სა ყოველი წლის თებერვლის 15-მდე, ხოლო დანარჩენი 30%—ივნისის 1-მდე.

ბ) საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან არა ნაკლებ წმინდა მოგების 10%-სა, რაც ფონდში გადაიცემა არა უგვიანეს ყოველი წლის ივნისის 1-სა;

გ) სხვადასხვა შემოსავლისა და ასიგნებისაგან.

3. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქვედა ქსელში შემავალ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან არსებული ფონდები შესდგება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებისაგან, რაც გადაეცემა ფონდებს ამა დადგენილების მე-2 მუხ. „ა“ პუნ. გათვალისწინებულ ვადებზე და წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ყოველწლიური ანარიცხებისაგან არა ნაკლებ წმინდა მოგების 5%-სა, რაც გადაეცემა ამხანაგობებთან არსებულ ღარიბთა ფონდებს არა უგვიანეს ყოველი წლის ივნისის 1-სა;

გ) სხვადასხვა შემოსავლისა და ასიგნებისაგან.

4. ამა დადგენილების მიხედვით შექმნილი ფონდების ხარჯვა (პროცენტული განაკვეთები მსესხებელისათვის, კრედიტის დანიშვნის ვადები, სახსარის გამოყენების წესი და სხვ.) სწარმოებს თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 21 თარიღისა და 107 №-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34) დამტკიცებული „წესებისა სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების შესახებ“ და „ინსტრუქციისა სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილების და მოძრაობის გამარტივებისა და დაჩქარების შესახებ“.

6. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ ერთი თვის ვადაზე, ამა დადგენილების შესაბამისად, დადგენილებები სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან (სას.-სამ. საკრედ. ამხან. კავშირებთან) და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან სოფლის ღარიბთა დაკრედიტების ფონდების დაარსებისა და ხარჯვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 223 დაიბეჭდა 1.200